



უღარაღელი მეთევზე.

კახეთის დედოფალი

შემოდგომის ლეგენდა.

ყვითელ ბაღში შემოსულა სახე-მწიფე, კაბაჭრელი;
მის გულმკერდზე ორს ნაზს მტევანს უჩინარი ვტრფის ხელი;
ვნებისაგან იქანცება... დნება... კრთება ეშხით მწველი,
ცხოველ სიტკბოს არ იშურებს, დაუხლართავს ყველგან ქსელი,
შიგ ებმები, უერთდები, მასთან ხარ და მასვე ელი,
გელიმება, გელხინება... სულს გიბრუნებს სუნთქვა ნელი.

ერთხელ, როცა მზე მინელდა, სხვის გათბობა გაუძნელდა,
ხეს ფურცელი დაუსველდა, მთას მოედო თეთრი ელდა,—
თვალწარბიანს, ჭრელკაბიანს ხილის კოშკი აუშენეს,
ყურძნის სვეტნი აუკინძეს, ესრე ტახტი დაუმშვენეს
აკიდო და კუნწულები გარეშემო დაუკიდეს,
შარბათის და ნექტრის წყარო ამჩქეფარეს ყოველ კიდეს.
—დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ სიძე უნდა აქ მოვიდეს.

დედოფალი იღიმება, ბროწეულის ბაგეს აპობს,
ვაშლის ლოყებს დაჰკრავს ვნება, „ახ, ვინ მომწყვიტს“ გულში ამბობს,
საფერავის ბნელ თვალეში ამხედრებას ჟინი ლამობს.

ლალისფერა, ქარვისფერა სდულს და ქვევრებს ეძაღება,
ჩენი გონჯა, თხის-წვერება, აღარავის ეკრძალება—
გაღელილი, დაკვალთული დედოფლის წინ დაბარბაცებს,
ხან ერთს გოგოს მოუჯდება, ხან მეორეს ხელსა სტაცებს,
მას ტიკტორა ხელით დააქვს, დილიდანვე გადაუკრავს;
—სიძე-ბატონს მოელიან, საზანდარი მწყობრად უკრავს!

მტვრიან თაროს ყანწებს ჰხსნიან, ძველს მარანში ქვევრებს ხდიან.
ხარი დაჰკლეს, თხა წააკლეს, სხვა ზვარაკაჲც სულსა ჰხდიან.
ზოგნი ცეცხლსა აჩადებენ, ზოგნი ლურჯსა სუფრას ჰპულიან.
ზოგმა მწვადებს მოუმარჯვა, ზოგნი თონეს ამოხდიან.
—შუადლისას საზეიმო დღესასწაულს გარდინდიან.
დედოფალი დანიშნულა, რჩეულ სიძეს მოელიან.

ქალსა გრძობა-მოჭარბებულს ჰსურს აშლა და ჰსურს თამაში.
შესამოსი განიძარცვა: სამკაული და მარმაში.
გონჯა მასთან დავლურს ცეკვავს, დიპლომატომ დაჰკრა ტაში.
—სიძე, მოდი! ნუ აყოვნებ! ააჩქარე შენი რაში!
სურნელება გარს არტყია, იბანავა ვარდის ნაშში!

დედოფალი ოდნავ შეკრთა: ეს განცხრომა რას უქადის?
გაზაფხულის ყრმა დასტოვა, ის აღარ სჩანს, მარტო დადის.
ის ხომ მისი სატრფო იყო, ყვავილებში აშიყობდა.
მზიან თვალებს უკოცნიდა, მასთან ტრფობას ამაყობდა.
დღეს კი... სხვაზედ... უცხო ყრმაზედ დაუპირეს გათხოვება...
მზექაბუჯის სხივის ბაგეს ეკონება— —ეთხოვება!

მაყრიონი კარზედ მოდგა, ღვინით, მწვადით მიეგებნენ;
დედოფალმა იცნო სიძე და ამბორით გადაებნენ!
ყვითელ-წითელ ხალიჩაზე ღვინისა ღვინად შეირგებნენ!

გრძლად სუფრული შემოსდახეს, სხვას სიმღერას არ აცლიან.
თვით თამადა ჭირვეულობს—აირჩიეს,—ველარ სცვლიან;
აქეთ მთვრალი, იქით მთვრალი, ყანწებს განზე გადისვრიან,
შემდეგ მაინც წითელ ღვინოს გაქონილის ჯამით სცლიან.

განთიადი მონარნარდა, მთები წითლად აიბურა,
ალაზანზე ნისლი გაწვა, ცივი ცვარი მოაპკურა.
გრილმა სიომ მალლა მთიდან მომლხენთაქენ მოაშურა,
ზოგს მაყრიონს მიეძინა და ზოგს თვალი მიელუღა,
ზოგნი ისევ ქვეფობენ, მორიგეობს ღვინით კულა.
ქიანურზე საარს სწნავენ, ხმაზე ყველა მინაბულა,
განთიადის ხოტბა ისმის და ოცნება შორს წასულა.

მხოლოდ გონჯა მზიარული იქვე ხესთან ატუზულა,
მოწყვეტილა საცოდავად, მიძმე ტანჯვით დათუთქულა.
გულმოკლული მარტო სტირის, გამწარებულს კენესა ჰხდება.
შეუმჩნევლად სწუხს საბრალო, მის ცრემლთაგან გუბე სდგება.
და რად სტირის? რა აღონებს? ვის ემღერის? ან ვის სტრახავს?
საიღუმლო ერთმა იცის, საიღუმლოდ შეინახავს.
მას სიცილი დაეკარგა, ღვინის კოკობს ვედარ ჰნახავს.
მისი სტვირი შემოდგომის უცნობ სევდას გამოჰსახავს!

სანდრო შანშიაშვილი.

აზრუმის ტიპები



* *

ავტირდეთ სულო, ავტირდეთ გულო,
სულო საწყალო, გულო დაგულო.

სასაფლაოვზე ვარდნი თავს ჰბრინ,
სატრფოს გულისთვის ცრემლებსა ჰღვრინ.
მობუღბუღენი ახალ ჰიმნს ჰკმინინ,
სიცოცხლის დროშას უკვლმა ჰშლიან.

ავტირდეთ სულო, ავტირდეთ გულო,
სულო საწყალო, გულო დაგულო.

ტკბილად ჰგალობენ, ნაზად მღერინან,
სიკვდილს, სიცოცხლეს ეგედრებინან.
ჩვენს მკვდარ სიყვარულს ეუფლებიან
და სულთათანას ეუბნებინან.

ავტირდეთ სულო, ავტირდეთ გულო,
სულო საწყალო, გულო დაგულო!

სატრფოს უკეჩერენ, სიკვდილს ეტრფიან,
სიკვდილის ჰიმნსა სატრფოს ეტყვიან.
ყვავილთ ნაფერთლებს ჯხვად ესვრიან
და სასიკვდილოდ გულში ეკვრიან.

ავტირდეთ სულო, ავტირდეთ გულო,
სულო საწყალო, გულო დაგულო.

არ შორდებიან, თან მიჰყვებიან,
ტკბილად ჰკოცნიან, ეხუტებიან.
მაგრამ, ცივ მკერდზე ველარ თბებიან
და სამუდამოდ მასთან რჩებიან.

ავტირდეთ სულო, ავტირდეთ გულო,
სულო საწყალო, გულო დაგულო.

ჩენი ტირილით ატირდებიან,
ვისიც სატრფონი ადრე ჰკვდებიან;
მოსთქმენ, ჰკენესიან, ცრემლად ღნებიან
და მხოლოდ ძილში სიზმრად ჰხვდებიან.

დ. კობალი.



ნახატები ხალილ-ბეგ მუსაევისა.



ბაზრობა აია-ხოფიასთან კონსტანტინეპოლში.

სურფა-მშვენიერი

(ლეგენდა)

ცამ ვარდის ფერი სახე მიიღო, ლელწამი შეიშმუნა, ბალახმა გრილი ჰაერი შეისუნთქა, ყვავილებმა ცისკარს სულწელგა მიუქმის და ის დაიბადა. მზემ სხივები შემოიკვეცა და თავზე გადმოაყარა: თმებათა ჰქონდესო, სთქვა თავის გულში...

ახლადშობილი გაიზარდა .. გაიარა... ჰაბუკმა დაინახა და გაოცდა.

— ხედავ, როგორა მგავს?—წაპ-შრილა ჰაბუკს ლელწამმა,—სულ ჩემი რხევა აქვს!

— ჩემი კიდევ კანი აქვს,—დაუმა-ტა თეთრმა, კამკამა შროშანამ.

— თუ ჰგავს ვისმე, ისევე მე, თო-რემ სხვა არავის!—წამოილაპარაკა შედიდურად ყვავილთა მეფემ.

— ღმერთმანი, მაგის თვალებს ჩემ-ში ვერ გამოარჩევთ!—სთქვა მორც-ხვად იამა.

ჰაბუკმა მცენარეთა დავას ყური არ ათხოვა და მიმავალს წინ გადაგლობა.

— ვინა ხარ?—ჰკითხა ალტაცებუ-ლის კილოთი.—რა სულიერი ხარ?... აგრეთი ტურფა-მშვენიერი რამ დაგ-ბადა?

ტურფა-მშვენიერმა პასუხად მხო-ლოდ გაუღიმა და ელვის სისწრაფით გზა აუქცია.

— ნუ გამირბიხარ, ტურფა-მშვე-ნიერო! არას დაგიშავებ!—უთხრა ჰა-ბუკმა და უკან აედევნა.

ტურფა-მშვენიერი ყელმოღერებუ-ლი შეეღივით მისრიალებდა.

— ცისკარი თუ ხარ ტურფა-მშვე-ნიერო?—შეეკითხა ჰაბუკი, როცა ცო-ტათი წამოეწია.—მაგრამ არა,—დას-ძინა თვითონვე საჩქაროთი,—ცისკარ-სა მარტო ფერი მიგიგავს. მზისა იქ-ნები, მზისა!.. მაგრამ არა, არა! მნა-თობთა მეფისთვის მხოლოდ სხივები მოგიტაცნია და თავა შეგიმოსია... სხვა, სხვა! სხვა ვინმე უნდა იყო! იქ-ნება ყვავილთა სულწელგა ხარ? ან ბალახის ფშვენა იყო?... მითხარი! ხმა ამოიღე!.. სად დაიბადე?... ან თუ მო-ჩვენება ხარ?... სიზმარი... არა, არა! არა მგონია... ჩემს წინ მისრიალებ .. ვგრძნობ, უკან მოგდევი.

ტურფა-მშვენიერი ხან-გამოშვებით გადმოხედავდა ხოლმე ჰაბუკსა და კითხვებზე მხოლოდ იღიმებოდა, პა-სუხს კი არ იძლეოდა.

ჰაბუკმა ნაზ ბალახს უნებლიეთ ფე-ხი დააღვა... ტურფა-მშვენიერმა მოი-ხედა: სახე მოჰნისლოდა.

ჰაბუკმა ნაზ შროშანას უცაბედად ზედ გადაუარა... ტურფა-მშვენიერმა მოიხედა: სახე მოჰღრუბლოდა.

— მზე ბუნდმა რათ მოიცვა, მზის-დარო?—შეეკითხა ტურფა-მშვენიერს ჰაბუკი.

მზისდარმა მოიხედა: თვალეტი გა-ნუსაზღვრელი სევდითა ჰქონდა ალვ-სილი.

ჰაბუკმა უცაბედად ვარდს ხელი წამოჰკრა და შემოფურცლა. მზისდარ-მა მოიხედა: წმინდა სანთელს დაჰ-მსგავსებოდა.

— ცისკარმა ფერი რათ დაჰკარგა, ცისკარო?—შეეკითხა კიდევ ჰაბუკი.

ცისკარმა მოიხედა: თვალეტი გა-ნუსაზღვრელი შიში აღბეჭდოდა.

— ნუ გეშინიან არას დაგიშავებ, ტურფა-მშვენიერო!—უთხრა ჰაბუკმა და თან უნებურად ლელწამს მხარი მოარტყა.

ლელწამი წელში გადატყდა. ტურ-ფა-მშვენიერს მუხლი მოეჭრა და ძირს დაეცა.

— ეხლა კი ჩემი ხარ!—წამოიძახა გახარებულმა ჰაბუკმა და ტურფა-მშვენიერს მივარდა.

ტურფა-მშვენიერმა საყვედურის თვალთ გადახედა თავის მდევნელსა და უძრავად შეიქმნა.

ჰაბუკი სახტად დარჩა: ხელს გა-ციებული გვამი მოხვდა.

ინ—ბანი.

შორით შორს მიმავალი

— აბა, შვილებო, გეყოფათ შინ ტრიალი!—უთხრა ზღვამ ტალღებს. —გასწით ახლა კარში, ნუ გამაბორო-ტებთ!.. არ გესმით?..

— არ წავალთ, არა!—წაიბუზღუნა ჰინკად წოდებულმა ტალღამ.

— რაო!.. არ წახვალთ? რომოჰოჰოჰო, რა თქვენი ნათქვამები ხართ!.. დამა-ცათ ერთი, დამაცათ!—დაუტატანა დედამ ურჩებსა.—თქვენი ქოქი კი გა-წყდეს, თქვენი აჰაანდე!.. განა თქვენ აღამიანს მოასვენებთ.

— არიქა, ბიჭებო, არიქა!.. დედამ ჯოხს ხელი წამოავლო!—დაიყვირა ყველაზე უმცროსმა ტალღამ ზეცის ზედა პირზე ამოვარდა.

— მოგხვდა თუ არა?! შე კე-პო შენა.—მიუგო ნიშნი ზღვამ ყველაზე უკან ჩამორჩენილ ტალღასა.

— ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. როგორ მო-სცხო, როგორ მოსცხო!—სთქვა ხარ-ხარით ჩვენმა ნაცნობმა პატარა ტალ-ღამ და წყლის ზედა პირზე ყირამალა გადავიდა.

— აქ მოხვალ, აქა, ონავარო!—დაე-მუქრა დედა,—სულ შენი ბრალია ყველაფერი, შე მიკოტო შენა, შე არამზადა შენა!..

მაგრამ პატარა ტალღას დედის მუ-ქარა აღარ ესმოდა და თავის უფროს ძმებს უძახოდა.

— აბა, ბიჭებო, ვინ წინა და ვინ უკან, აბა!..
 პატარა ტალღა მიხტოდა, მინავარდობდა და უფროს ძმებს აღიზიანებდა.
 მალე უკან ტალღათა ხროვა აედევნა.
 — დაიკარგე, შე თაგო, შენ! შენ უნდა გამასწრო? — დაუტია უზარმაზარმა ტალღამ პატარასა.
 ხილი წაავლო, ზურგით უკან გადაისროლა და თვითონ გაექანა წინა. უცბად შეჩერდა და მორბენალთ წინ კედლად აიმატა.
 — დაიცო! — გაისმა გვრგვინვისებური ხმა.
 დიდი და პატარა ერთმანეთს მიექუსლიტა და ამთავორდა.
 — რას შეგვაჩერე? რას შეგვაჩერე? რას შეგვაჩერე? — დაიწყო კიბუჩინი პატარა ტალღამ.
 — შენ ეგ, ხმა ჩაწყვიტე. ხმა! — ლაოქყავლა დიდმა ტალღამ და თავში ჩაუჭრა.
 პატარა ტალღა ზღვის ზედაპირს გაეკრა.
 — ბიჭებო! — დაიწყო ბელადმა. — ხედავთ იმ კლდეს? აბა, თუ ძალა გინდათ ამოვცადოთ, იმას დავეჯახოთ!
 დიდი ტალღა სწრაფად მოსწყდა ადგილსა და კლდისაკენ გაექანა. უკან ძმათა ჯარი დაედევნა.
 კლდე გულგრილად უმზერდა მომავალ მტერსა და წარბს არ იხრიდა.
 ტალღები შეჯგუფდნენ, მთად გადიქტნენ, და თავხედს არსებებს მთელი თავისი სიძლიერით შეეხეთქნენ. წყალი გადაიფანტა და ქაფად მოეფინა ზღვის ნაპირსა.
 უვნებლად გადარჩენილი კლდე მზის სხივებმა ააპრიოლეს.
 დამარცხებულმა მტერმა ისევ თავი მოიყარა.
 — არიქა, ბიჭებო, ნავი! — წამოიყვირა პატარა ტალღამ. — დაანებეთ კლდეს თავი! წამოდით გავაქან-გამოვაქანოთ!
 ყველას კუთაში დაუჯდა ახალი რჩევა და ნავისაკენ გაექანნენ.
 ნავი თამამად მოემართებოდა. ტალღათა რაზმი წინ გადაეღობა.
 — ერთი უყურეთ მაგას! გვცემს! გვცემს! — დაირუხრუხეს ტალღებმა, — ჩვენ ვეთამაშებით, ეს კი გვცემს! სერი უჩვენოთ, სერი, რომ მეორედ აღარ გაბედოს ჩვენი ცემა!
 მენავე ოსტატურად ხმარობდა ნიჩბებს და ნავს იხვივით ასრიალებდა. მარტოკა იყო. შორიდან მომავალი შორს მიდიოდა.
 — რა შეუპოვარია! — დაიღრიოლეს ტალღებმა და ვაორკეცებულის ძალით ეჯახნენ ნავსა.
 — ცოტა კიდევ, აი ცოტა კიდევ და მალე გადაბრუნდება. — წამოიძახეს გახარებულმა ტალღებმა, — ცოტა კიდევ... მა რა ეგონა?
 ზღვა ნავს შესუდვრას უპირობდა... მაგრამ მენავეს არ ეძინა. ნიჩბი შეათამაშა, დაჭრა ძლიერად წყლის ზიდაპირსა და ტალღათა მთას წვერზე მოექცა.
 — სანამ ძალა მაქვს ვერას დამაკლბთ! — წაილაპარაკა თავისთვის გვირმა მენავემ და ზღვის გამძვინვარებულ შვილებს ამაყი თვალი გადაავლო.
 — აბა, უტყირეთ!.. მეორე ნავი! — ამცნო კიდევ პატარა ტალღამ ამაზნაგებსა.

მალე მეორეს შესაბამე მოჰყვა, მესამეს მეოთხე, მეხუთე, შეექცეს... და წყლის ზედა პირი ნავების ჯარით გაივსო.
 ტალღები გაოცდნენ. რა ამბავიაო, ეკითხებოდნენ ერთმანეთსა.
 — აბა, ძმებო, იერიში! — შესძახა დიდმა ტალღამ. — ნაპირისაკენ მოიწვევენ, არ გავუშვათ!
 ტალღათა ხროვა აფუთფუთდა და ნავებს ალყა შემოარტყა.
 დაუდევრებმა ნავების ჯარი ნაფოტებივით შეათამაშეს.
 — აბა, ბიჭებო, მარდად, მარდად! — აქებდნენ ერთმანეთს ტალღები. — ნავი ნავს დავაჯახოთ... აგე გადაბრუნდა!.. აგე კიდევ... კიდევ ერთი... ხუთი შესრულდა!..
 მრავალი ნავი დაიღუპა. ბევრი მენავე უფსკრულმა შთანთქა.
 — როგორ შეოხელდა! — გაისმა ზღვის შვილებს შორის კმაყოფილი ხმა. — წაგიდეთ... ახლა კი დავისვენოთ... დედას ვუამბოთ.
 — ამათ?.. ამათ რაღა ვუყვით?.. ასე გაუშვით? არ დავსაჯოთ?.. მრავალი მოძმე დაიღუპათ და მაინც თავს არ იხრიან. ეჭვი... ეგენი არა სწუხან!.. ოჰო! ეს რას აპირობენ?!..
 მენავეებმა ნიჩბები ასწიეს. წყლის ზედა პირს უცბად გმირული ჰანგები მოეფინა. ტალღათა ხროვას უკმეხი სიტყვები მოესმა.
 გული მხნედ არი, მკლავი მედგარი ნიჩბით გაჰკვეთს ტალღასა ხელსა, მენავე ბედსა არ უხრის ქედსა, მამაცად ემზის ძალასა მქელსა.
 შორით მომავლებს, შორსა მიმავლებს ვერ შეგვაშინებს წყლისა ღრილი ამყსა სულსა გაკაქებულსა ვერა ვერ მოსდრეკს ზღვისა გრივალნი გული მხნედ არი, მკლავი მედგარი ნიჩბით გაჰკვეთს ტალღასა ხელსა, მენავე ბედსა არ უხრის ქედსა, მამაცად ემზის ძალასა მქელსა.
 სიმღერა შესწყდა.
 — არა, ამას ჩვენ ვერ მოვითმენთ! — წამოიშხუვლა გულმოსულმა დიდმა ტალღამ. — ერთი კიდევ ვეძგეროთ, ერთი კიდევ!..
 ტალღებმა ხელი ხელს ჩასჭიდეს, გაიბერნენ, მალა-მალა წავიდნენ და გადარჩენილი ნავები წყლის ორმოში მოამწყვდევს.
 ნავთა ჯგუფიდან ნავი გამოიჭრა.
 — არ გვეშინიან! — დაიძახა შიკ მჯღომმა და თვით მიიტანა იერიში აზობოქრებულ ტალღებზე.
 პირველ ნავს დანარჩენებიც აედევნენ. ძლიერი ნიჩბის ცემა ტალღების გრილს შეუერთდა, შორიდან ნაპირებმაც მისცეს ხმა და სივრცე საზარელი ხმებით გაივსო.
 — ნაპირს ახწვევნი! — ამცნო გაშმაგებულ ძმებს პატარა ტალღამ. — კლდეს დავაჯახოთ კლდესა!..
 — კლდე, მენავენი! — წამოიძახა მენავეთა ბელადმა — მარცხნივ!.. მომყვით!.. პატარა კიდევ, აბა პატარა კიდევ!.. აბა შიგვლით, ესეც ნაპირი!.. აქ ცოტა ხანი შეიკვებოთ და მერე ისევ გზას გავუდგეთ... შორით მოსულნი შორს წავიდეთ... შორსა ვეძიოთ...
 ინ — ბანი.

დავწროვარ, დავაკვებ ეული

— რათ მობურულა შენი ცა? რომელმა ძლიერმა ქარმა გადმოყარა შენსკენ ეკ სულის შემხუთველი შავი ღრუბლები? სევდის შავ მორევიდ რათ ქცეულა შენი შავი თვალები?.. გამიმჯღავნე, მითხარი!.. მე ხომ შენი დედა ვარ...
 — დედა?!
 — რას მაქტერდები?.. შე გშვი... გაგზარდე...
 — ჰო, ჰო!.. მშვი, გამზარდე...
 — მიცანი?.. მიცანი არა?.. მაშ შეტყვი... მითხარი!.. მითხარი!
 — გითხრა?.. გეტყვი... ჰო გეტყვი... შე ვნახე... შემოდარცული... ფეხთშეშველი...
 უგზოთა, უკვლოთა ვიდოდა, ცეცხლისა ალითა იწოდა, ლამაზი ნარნარი ტიროდა, — ვაგლახმე, დავკარგე! — ჩიოდა.
 დავწროვარ, დავეძებ ეული, მის ნახვას ვისწრაფი სწული, წამისწამს მოველი ბედკრული, სწუხდება, ღონდება ეს გული.
 — შეილო, ჰა შეილო!.. ზეციერო გაშინო, რა ემართება?!. გაჩუბდა... ქნარის სიმები დაუღუბდნენ შეილო!.. შეილო, რათ გადმოგეკიდნენ წამშამთა ჯარზე აღმასის ცვარნი? რომელმა ავმა სულმა ჩამოაყრევინა ალვის ხეს ტოტები? რატომ აღარ ირხევიან სააშურადა? მკლავნი რათ მოგდუნებია, თვალის სინათლევ?.. ხმა გამე, ხმა!.. წამოდვა, წამოდვა!.. ეს რაღა არის, გენაცვალეთ?.. ჩემო გულის ხატო, საფიცარო, სად არის, სადა, შენი ლელწამის რხევა? ვინ?.. ვინ ესროლა ლად შეგლს ისარი? მუხლი ვინ დაუუძოურა?.. მიდის, ვეთაყვათ, მიდის!.. შეილო, სად მიხვალ? მიპასუხე!.. დაბრუნდა... ისევ მიდის, ისევ!.. კიდევ ბრუნდება... ბრუნდება, მიდის! მიდის, ბრუნდება!.. შენი დედა არა ვარ განა? გადაშიშალე ყველაფერა, წამლად დავედები, წამლად!
 — გითხრა?!. გეტყვი... შე ვნახე... გაციებული... სამუდამოდ მიღუბებული... სახეზე კმუნვა შეჰყინოდა...
 თეთრთა შმოსავუნენ ლამაზა, გულხელსა უკრეფდნენ საბრალსა, ყვავილით ამკობდნენ ნარნარსა, მიწისას ადგამდნენ კარავსა.
 — შეილო გულისავ, გულს რათ მისერავ?.. რათ მისერავ, რათ?!. გემუდარები მოიხსენი! ნუ, ნუ გახვევია შავი მანდილი! სახეს გიჩრდილავს... მნათობსა უქი ეკარგება... მოიხსენი!.. მოიხსენი და შორს გასტყორცნე!
 — არა, არა!.. თავი დამანებე, თავი!.. არა...
 დავწროვარ, დავეძებ ეული, მის ნახვას ვისწრაფი სწული, წამისწამს მოველი ბედკრული, სწუხდება, ღონდება ეს გული.
 ინ — ბანი.

ხისა და მიწის უკვლევი რული
 (ლევანდა)

ქალწულმა მიწამ თვალი გაახილა და მალე ლურჯთვალა ქაბუჯი ცა დაინახა.
 — რა ლამაზია! — წამოიძახა გატაცებით.
 ცას თანაც იამა, თანაც, ცოტა არ იყოს, შერცხვა და სახეზე ვარდისაფერმა გადაჰკრა; თვალები შეუხუთუნდა და გაილიმა.
 ქალწულმა მიწამ მშვენიერ ქაბუჯს თვალი ვეღარ მოაშორა. ცასაც მოეწონა შავთვალა მომზირალი და ძლიერი სურვილი აღეძვრა. მხარზე ოქროს კაპარტი ეკიდა, მოიხსნა, წამოაპირქვა და ოქროს ისრები გულზე გადააყარა. ქალწულს სიყვარულის ალი მოედდა და ქეკლუცობა დაიწყო: ხან მწვანით შეიმოსა, ხან ყვითლითა, ხან კიდევ თეთრითა. ცამ ვეღარ მოითმინა და ძირს ჩამოვიდა. შავთვალა ქალწული დიბნა, შედინებებისაგან თავი ვადაკიწყდა და სტუმარს საჩუკელი გაუნაწილა...
 მაგრამ ლურჯთვალა ქაბუჯს მალე გული აუტრუფდა და სატრფოს სამუდამოდ გასცილდა...
 მიწას შევილი ეყოლა და უწოდა სახელად ადამიანი.
 გაიზარდა ადამიანი და თავის მამის ვინაობა გაიგო. მიწის შვილს ცის ნახვა მოუწინა და დალონდა. კარს გასაჭირი მოადგა: მამის სიყვარული მალე ეწეოდა შვილსა, დედისა კიდევ ძირსა.
 დიდ საგონებელში ჩავარდა ადამიანი: გრძნობები ორად დაერაზმნენ გულში და ერთმანეთს შეეტაკნენ. შველა არსაიდან იყო.
 — ნეტავი მეღირსება როდისმე მამიჩემის ნახვა? — შეეკითხა თავის თავსა ამოოხვრით ადამიანი. — დედი, — მიმართა დედამიწას, — მიშველე რამე, მე ხომ შენი შვილი ვარ! მე შენ არ მინდა თავი დავანებო, მაგრამ ისე როგორ გავატარო ჩემი სიცოცხლე რომ მამა ვერა ვნახო?
 — აბა რა გიშველო, შვილო?! — უთხრა დედამიწამ. — ის მალე არის და ჩამოსვლას არ აპირობს, მე კი დაბლა ვარ და მალე ასვლა არ ძალმიძს. რომ შემეძლოს რამე, არ დავალონებდი. ან რათ გინდა რომ იქ წახვიდე? აბა, მიიხედ-მოიხედე ვარშემო!.. ეს ყველაფერი შენთვის არის გაჩენილი...
 — არა, დედი, არა! მე მინდა იქაც ვიყო, მამასთან... იქ მზეა, მთვარე, ვარსკვლავები!..
 — მე გიშველი ადამიანი! — წასჩურჩულა ვინმემ შავ ჩადრში ვახვეულმა. — მე გიშველი... დედისაც იქნები და მამისაც.
 — მიშველი, მიშველი?! — წამოიძახა გახარებით ადამიანმა და შავჩადრიანს გადაეხვია. — ვინა ხარ კეთილო, ვინა?
 — სიკვდილი! — გაისმა პასუხად საზარელი ხმა და შავ ჩადრიდან საშინელვამ თავი გამოყო.
 ადამიანი დედამიწის მკერდზე დეცა და უძრავად შეიქმნა.
 — მიწას მიწისა და ცისა ცასა! — წარმოსტქვა ცივად სიკვდილმა და მიიმალა.
 ინ — ბანი.